IDFI

ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

Supported by
Luminate
Building stronger societies

ანალიზი მომზადებულია პროექტის - „კარგი მმართველობის გაძლიერება საქართველოში 3G“ - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს საქველმოქმედო ორგანიზაციის პოზიციას.

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 3
შესავალი 4
საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოსავლები 5
  საბიუჯეტო შემოსავლები 5
  სხვა შემოსავლები 6
საზოგადოებრივი მაუწყებლის ხარჯები 9
მაუწყებლის ახალი შენობის ხარჯები 12
გადაცემების ხარჯები 14
დასაქმების პოლიტიკა საზოგადოებრივ მაუწყებელში 15
რეიტინგი 16
დასკვნა 18

ძირითადი მიგნებები

- **საზოგადოებრივი მაუწყებლის საბიუჯეტო დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება. თუმცა, 2019 წელს დამტკიცებული ბიუჯეტი აღებული სესხის ხარჯზე, გასულ წელთან შედარებით, 93%-ით გაიზარდა და 96 მლნ 970 ათასი ლარი შეადგინა.**

- **აღნიშნული სესხის მიზნობრიობა ტექნიკური გადაიარაღება იყო, თუმცა სასესხო თანხის ათვისება 2019 წელს ვერ მოხერხდა. 2020 წლის ბიუჯეტში 7 მილიონი ლარი სწორედ ამ გაუხარჯავი სესხის მომსახურებას უკავია.**

- **საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი შენობის მშენებლობის 2020 წელს უნდა დასრულებულიყო, თუმცა ტენდერზე წინადადებების მიღება 2020 წლის სექტემბერში იწყება. ძველი შენობის აუქციონის პირობების თანახმად კი, მაუწყებელი ახალ შენობაში გადასვლას 2023 წელს გეგმავს.**

- **საზოგადოებრივი მაუწყებელი არ ასაჯაროებს როგორც არხის წლიურ, ასევე ცალკეულ გადაცემათა რეიტინგებს.**

- **TVMR-ის ყოველკვირეული მონაცემებით გამოთვლილი წლიური რეიტინგის თანახმად, მაუწყებლის ბაზრის წილმა 5.11% შეადგინა. 2017 წლის მაღლაფერიძის გეგმის მიხედვით კი 2019 წლისთვის პირველი არხის რეიტინგი 15%-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო.**

- **2019 წლის ყველაზე მაღალ ხარჯიანი გადაცემები „მასტერშეფი" და „საქართველოს ვარსკვლავი" იყო. ამავე გადაცემებზე დაფიქსირდა ყველაზე მაღალი რეიტინგი, შესაბამისად - 8.91% და 8.60%.**

- **მაუწყებელში კვლავაც არ არის დამტკიცებული საშტატო განრიგი, რაც მაუწყებელში დასაქმებულთათვის არასტაბილურ გარემოს ქმნის.**

შესავალი

2020 წლის 18 აგვისტოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურმა დირექტორმა, ვასილ მაღლაფერიძემ, თანამდებობა დატოვა. ის აღნიშნულ პოზიციაზე 2017 წლის 6 იანვარს დაინიშნა. მოსვლიდან მალევე, დირექტორმა მასშტაბური რეფორმები დააანონსა. 2017 წლის თებერვალში, ვასილ მაღლაფერიძემ არხის რეორგანიზაციის შესაძლო მოდელი წარადგინა. აღნიშნული მოდელის თანახმად, არხზე კიდევ ერთი რეორგანიზაციის პროცესი დაიწყებოდა, რომლის მიზანი **ტექნიკური გადაიარაღება, თანამშრომელთა და ფინანსური რესურსების ოპტიმიზაცია**, ახალი სამაუწყებლო ბადის შექმნა და ტელეარხისთვის ახალი შენობის შეძენა იყო. რეფორმის ძირითად ამოცანად მაუწყებლის ტექნიკური განახლება, ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება და **გადაცემების რეიტინგის გაუმჯობესება დასახელდა.** საბოლოო მიზანი კი საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგის გაზრდა იყო**.** ვასილ მაღლაფერიძემ ასევე [განაცხადა](), რომ იმ შემთხვევაში თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგი 2019 წლისთვის 15%-ზე მეტი არ იქნებოდა, ის გადადგებოდა დაკავებული თანამდებობიდან. მაღლაფერიძის რეფორმების პრეზენტაცია შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ცვლილებების დაწყებიდან თითქმის ოთხი წელი სრულდება, ვასილ მაღლაფერიძემ კი დაკავებული თანამდებობა დატოვა, რის მიზეზადაც დასახული გეგმის განუხორციელებლობა არ დაუსახელებია. IDFI დაინტერესდა როგორ მიმდინარეობდა რეფორმირების პროცესი 2017-2019 წლებში და მოჰყვა თუ არა მას სასურველი შედეგი. ამის გასაგებად IDFI-იმ პირველ რიგში ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებლიდან გამოითხოვა, თუმცა მოთხოვნილი ინფორმაციის

ჩამონათვალიდან პასუხი ვერ მიიღო საშტატო ნუსხის, შტატგარეშე თანამშრომლების[1], საქართველოს პირველი არხის საერთო და გადაცემების რეიტინგების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოსავლები

საბიუჯეტო შემოსავლები

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთლიანი ბიუჯეტი შედგება სახელმწიფო დაფინანსებისგან და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლებისგან. მაუწყებლის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც შეადგენს წინა წლისათვის განსაზღვრული მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0.14%-ს.[2] 2014 წლიდან მოყოლებული, საზოგადოებრივი მაუწყებლის **საბიუჯეტო დაფინანსება ყოველწლიურად იზრდება.**[3]

საბიუჯეტო სახსრებთან ერთად, მაუწყებელს შეუძლია ბიუჯეტი შეავსოს სხვა შემოსავლებით, როგორიცაა სესხი, შემოსავალი რეკლამიდან, ტექნიკის გაქირავებიდან და ა.შ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსება საბიუჯეტო სახსრებიდან



ამასთან, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში წარდგენილი 2017-2019 წლების მონაცემების მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ყველაზე შემოსავლიანი ტელევიზიაა.

[1] საშტატო ნუსხაზე და შტატგარეშე თანამშრომლების შესახებ ინფორმაციაზე უარის თქმის მიზეზი საშტატო განრიგის არ არსებობაა.
[2] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, მუხლი 33, პუნქტი 5.
[3] წყარო: შესაბამისი წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (ფაქტი); მონაცემები მოიცავს აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დაფინანსებასაც.

სამი ყველაზე მაღალ შემოსავლიანი ტელევიზიის 2017-2019 წლის შემოსავლები



სხვა შემოსავლები

თუ მაუწყებლის ყოველწლიურ **დამტკიცებულ ბიუჯეტს** (სახელმწიფო დაფინანსება + სხვა შემოსავლები) დავთვლით, ყველაზე დიდი ზრდა 2019 წელზე მოდის. 2018 წელთან შედარებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტი 93%-ით გაიზარდა. მაუწყებლის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა ტექნიკური უზრუნველყოფისათვის აღებული სესხის ჩათვლით შეადგინა **96,970,000 ლარი** (იხ. სურათი # 1). 2019 წლის 27 დეკემბერს კი დამტკიცდა 2020 წლის ბიუჯეტი, რომელმაც 102 მლნ. ლარს გადააჭარბა.[4]

სურათი #1 - საზოგადოებრივი მაუწყებლის დამტკიცებული ბიუჯეტები წლების მიხედვით



აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ბიუჯეტის ზრდა ძირითადად მოხდა წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკისთვის, სესხის აღების ხარჯზე (იხ. ცხრილი # 1).

[4] აღნიშნული მონაცემები არ მოიცავს ინფორმაციას აჭარის ტელევიზიასა და რადიოს შესახებ.

ცხრილი #1 - საზოგადოებრივი მაუწყებლის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი		
	საბიუჯეტო სახსრები 2019	**სესხი**
სამეურვეო საბჭო	730,050 ₾	12,000 ₾
მონიტორინგის სამსახური	3 339,476 ₾	- ₾
ახალი და მიმდინარე ამბები	11 670,798 ₾	- ₾
მედიისა და კომუნიკაციების ბლოკი	8 816,866 ₾	79,380 ₾
მედიაწარმოების ბლოკი	7 202,015 ₾	- ₾
წარმოება და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი	9 302,288 ₾	**45 787,093 ₾**
ადმინისტრაციის და ფინანსების ბლოკი	4 017,676 ₾	50,000 ₾
სხვა გადასახდელები	4 390,830 ₾	1 571,527 ₾
ჯამი	**49 469,999 ₾**	**47 500,000 ₾**

წყარო იხილეთ შემდეგ ბმულზე.

2020 წლის ბიუჯეტშიც 41 მილიონ ლარზე მეტი კრედიტს უკავია, რაც ნიშნავს რომ 2019 წელს აღებული სესხიდან, ამ ეტაპზე დაახლოებით 4 მლნ ლარია ათვისებული. როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს სხდომიდან ირკვევა, სხვა გადასახდელებიდან, რომელზეც 10,147,483 ლარია გათვალისწინებული, 7 მილიონი აღნიშნული სესხის მომსახურების გადასახადია.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი
საანგარიშგებო პერიოდი: 01.01.2020 -31.12.2020
ვალუტა: ლარი

	სულ
სამეურვეო საბჭო	875,925
გენ. დირექტორის აპარატი და დაქვემდებარებული სამსახურები	3,664,021
ახალი და მიმდინარე ამბები	12,343,778
მედია	8,599,543
მედიაწარმოება	10,791,969
წარმოება და ტექ. უზრუნველყოფა	51,772,614
ფინანსები და ადმინისტრაცია	4,591,797
სხვა გადასახდელები	10,147,483
მთლიანი ბიუჯეტი:	102,787,130

ფულადი ნაკადები	
ხაზინა	58,395,000
კომერციული შემოსავალი	2,744,376
კრედიტი	41,647,754
ჯამი	102,787,130

გენერალური დირექტორი:
ვასილ მაღლაფერიძე
თარიღი: 27/12/2019

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე
ირინა ფუტკარაძე
თარიღი: 27/12/2019

საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში სასესხო რესურსები 2016 წლიდან მოყოლებული არის გათვალისწინებული,[5] თუმცა 2019 წლის მსგავსი ზრდა არცერთ წელზე არ ფიქსირდება. სტანდარტულად სასესხო ვალდებულება 2016-2018 წლებში არ სცდებოდა 6 მილიონ ლარს ყოველწლიურად (იხ. ცხრილი #2). **სესხის მსგავსი ზრდა დაკავშირებულია მაუწყებლის სრული ტექნიკური ბაზის გადაიარაღებასთან, რაც რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.**

ცხრილი #2 - საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის სასესხო ვალდებულებები კატეგორიების მიხედვით (2016-2019)				
	2016	**2017**	**2018**	**2019**
სამეურვეო საბჭო	- ₾	- ₾	29,707 ₾	12,000 ₾
მონიტორინგის სამსახური	- ₾	- ₾	34,493 ₾	- ₾
ახალი და მიმდინარე ამბები	3 145,752 ₾	2 951,50 ₾	525,606 ₾	- ₾
მედიისა და კომუნიკაციების ბლოკი	308,706 ₾	135,96 ₾	919,914 ₾	79,380 ₾
მედიაწარმოების ბლოკი	984,151 ₾	518,38 ₾	667,281 ₾	- ₾
წარმოება და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი	686,745 ₾	1 795,43 ₾	1 371,486 ₾	45 787,093 ₾
ადმინისტრაციის და ფინანსების ბლოკი	455,983 ₾	231,10 ₾	674,298 ₾	50,000 ₾
სხვა გადასახდელები	219,059 ₾	94,89 ₾	1 389,791 ₾	1 571,527 ₾
ჯამი	**5 800,396 ₾**	**5 727,260 ₾**	**5 612,576 ₾**	**47 500,000 ₾**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, საზოგადოებრივ მაუწყებელს კომერციული სარეკლამო დრო გაეზარდა. იმის გასარკვევად, აისახა თუ არა აღნიშნული ცვლილება ტელევიზიის სარეკლამო შემოსავლებზე, ჩვენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ანალიტიკური პორტალიდან დავთვალეთ და შევადარეთ რამდენიმე წლის სარეკლამო შემოსავლები (რეკლამა და სპონსორობა), რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება:

წელი	**შემოსავალი რეკლამიდან და სპონსორობიდან (ლარი)**
2016	1,818,956
2017	848,091
2018	2,877,898
2019	1,420,478

როგორც წინამდებარე ცხრილიდან ჩანს, 2018 წელს პირველი არხის სარეკლამო შემოსავალი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სარეკლამო შემოსავლის ზრდა დროში ემთხვევა მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ტრანსლირების პერიოდს. მნიშვნელოვანია, რომ 2016 წელსაც პირველი არხი გადმოსცემდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატსა და ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს, თუმცა ამ წელს სარეკლამო შემოსავალმა 2 მილიონ ლარს ვერ მიაღწია.

[5] *შენიშვნა: საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2016 წლამდეც ხდებოდა სესხის აღება ბიუჯეტის რესურსების შესავსებად, თუმცა, ბიუჯეტის ხარჯების კატეგორიებად დაყოფის სტანდარტი განსხვავებული იყო. შედეგად, თვალსაჩინოებისთვის ცხრილი #2 მხოლოდ 2016 წლიდან იწყებს სესხის მოცულობის დათვლას.*

მაუწყებლის 2016-2018 წლების სარეკლამო შემოსავლების თვეების მიხედვით გადანაწილება შემდეგნაირია:



საზოგადოებრივი მაუწყებლის ხარჯები

2016-2019 წლებში, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის კატეგორიებიდან ყველაზე დიდი თანხა წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკზეა გათვალისწინებული (2019 წლის ზრდის ხარჯზე) - ჯამში 89 მლნ ლარზე მეტი. მეორე ადგილზეა ახალი და მიმდინარე ამბების კატეგორია - ჯამში 47 მლნ ლარზე მეტი. მესამე ადგილზე კი მედიაწარმოების ბლოკია - ჯამში 31 მლნ ლარზე მეტი (იხ. სურათი #2).



საინტერესოა მაუწყებლის მიერ გაწეული კაპიტალური ხარჯებიც. ამ კატეგორიაში გადის შენობა-ნაგებობების პროექტის შექმნა/მშენებლობა, არსებული შენობა-ნაგებობების რესტავრირება, ტექნიკური საშუალებების (კამერები, კომპიუტერები, ელექტრონული მოწყობილობები, განათებები, ხმის აპარატურა) შეძენა, ავტოსატრანსპორტო (მათ შორის სპეციალიზებული) საშუალებების შეძენა, რეფორმის პერიოდში შექმნილი პროგრამების და გადაცემების დეკორაციების დამზადების მომსახურების შესყიდვა.

2017 წელს, გაწეულ იქნა **5,105,606 ლარის კაპიტალური ხარჯი,** რამაც შეადგინა მთლიანი **ბიუჯეტის 11%:**

- მოხდა ტელევიზიის სრული ტექნიკური გადაიარაღების გეგმის მომზადება;
- დაიწყო ტელევიზიის ახალი შენობის დაპროექტების სამუშაოები;
- განახლდა ავტოპარკი (20 ერთეული „სუძუკი-ვიტარა“);
- განახლდა ტელევიზიის კამერა-პარკი და არხმა შეისყიდა პირდაპირი ჩართვის აპარატურა (ვიდეოკამერების 41 ერთეული კომპლექტი, 41 კამერის სადგამი, განათების სისტემა და რადიომიკროფონები);
- განახლდა ნიუსრუმი;
- დაიწყო რეგიონული ოფისების შექმნა, პირველი ოფისისთვის უძრავი ქონება არხმა შეიძინა ქალაქ ბათუმში.

2018 წელს, გაწეულ იქნა **4,575,967 ლარის კაპიტალური ხარჯი,** რამაც შეადგინა **ბიუჯეტის 9%:**

კაპიტალური ხარჯები 2018 წ.	
I კორპუსში მე-3 სართულზე ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	2 965 ₾
შენობის დაშვება კონტროლის სისტემის მოწყობილობების მონტაჟის სამუშაოების და პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა	59 970 ₾
ბალანსზე რიცხული ROSS VIDEO წარმოების გრაფიკული სერვერის მოდიფიკაციის (აპარატურის „Update“ გამართვა/გაშვება) სახელმწიფო შესყიდვა	65 034 ₾
ვიდეო-სამონტაჟო კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვა	22 329 ₾
კონდინციონერების სახელმწიფო შესყიდვა	56 779 ₾
კომპიუტერის ნაწილების და აქსესუარების სახელმწიფო შესყიდვა	98 880 ₾
ვიდეო-სამონტაჟო კომპიუტერების და მხატვარ-დიზაინერებისთვის საჭირო პლანშეტების სახელმწიფო შესყიდვა	41 299 ₾
პირველ კორპუსში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	3 222 ₾
მე-3 კორპუსში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	1 978 ₾
ანტივირუსის პროგრამული პაკეტების სახელმწიფო შესყიდვა	33 935 ₾
კაბელების სახელმწიფო შესყიდვა	16 635 ₾
ვიდეო-სამონტაჟო კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვა	59 378 ₾

I კორპუსის სახურავზე პირდაპირი ჩართვის ლოკაციის მოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	15 871 ₾
კოსტავას ქ. N68-ში მდებარე „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განაშენიანების კონცეფციის შემუშავების და შესაბამისი პროექტის განხორციელებადობის სრული კვლევისა და ბიზნეს გეგმის მომზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა	55 500 ₾
უპილოტო საფრენი აპარატის (კოპტერი) და მისი სათადარიგო ნაწილების სახელმწიფო შესყიდვა	27 500 ₾
„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებ გვერდის 1TV.GE ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა	14 750 ₾
I კორპუსის მე-3 სართულზე ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	11 728 ₾
I და „ც“ სტუდიისთვის ვიდეო ეკრანებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა	152 090 ₾
ვიდეო-სამონტაჟო კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვა	62 980 ₾
I და III კორპუსებში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	7 053 ₾
სატელევიზიო გადაცემების პროფესიული განათების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა	386 448 ₾
რთულ რელიეფურ და კლიმატურ პირობებში გადაადგილებისთვის საჭირო მაღალი გამავლობის მეორადი ავტომობილის (ჯიპი) სახელმწიფო შესყიდვა	23 000 ₾
I კორპუსის IV სართულზე ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა	79 999 ₾
ავტომანქანების (სავარაუდოდ 70 ერთეული ავტომობილი) სანავიგაციო მოწყობილობებით აღჭურვა და შემდგომში პროგრამული მონიტორინგის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.	8 358 ₾
სტუდიური მულტიმედიური დეკორაციის (საინფორმაციო ვიდეო კედლებისა და მულტიმედიური გამოსახულების სისტემის) სახელმწიფო შესყიდვა	1 150 000 ₾
სტუდიური განათების მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვა	2 075 000 ₾
ვიდეო-სამონტაჟო კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვა	29 566 ₾
პირდაპირი შესყიდვა - კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები: ლეპტოპები	13 720 ₾
ჯამი	**4 575 967 ₾**

2019 წლის კაპიტალურმა ხარჯებმა 4,188,929 ლარი შეადგინა, რაც მოცემული წლის დამტკიცებული ბიუჯეტის 4%-ია.

ტექნიკური გადაიარაღების გეგმა	**3,352,246**
სტუდიის დეკორაცია	**251,417**
გარდერობი	**8,690**
სხვა ტექნიკური ხარჯი	**289,509**
ახალი შენობის დაპროექტება	**177,596**
ავეჯი და საოფისე ინვენტარი	**32,053**
სარემონტო სამუშაოები	**60,356**
გამაგრილებელი & სავენტილაციო სისტემები	**11,739**
საოფისე ელ. ტექნიკა	**5,322**
სულ	**4,188,929**

მაუწყებლის ახალი შენობის ხარჯები

ახალი შენობა პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე უნდა აშენდეს, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელს სახელმწიფომ სარგებლობის უფლებით 2017 წელს გადასცა. მაუწყებელმა არქიტექტურული პროექტისათვის კონკურსი გამოაცხადა, რომელშიც შპს „თბილქალაქპროექტმა“ გაიმარჯვა. ხელშეკრულება 2017 წლის 6 ნოემბერს დაიდო და მომსახურების საფასური 1,179,998 ლარით, ხოლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურების ვადა 2018 წლის 30 მაისამდე განისაზღვრა. თუმცა მოგვიანებით ხელშეკრულებაში ცვლილება შევიდა და ხელშეკრულების საფასური ჯერ 1,265,557-მდე გაიზარდა, ხოლო შემდეგ - 1,297,957 ლარამდე.

ამასთან, მომსახურების შესრულების ვადა რამდენჯერმე შეიცვალა და ხელშეკრულების ბოლო ცვლილების საფუძველზე, საბოლოო ვადად, 2018 წლის 30 მაისის ნაცვლად, 2020 წლის 30 ივნისი განისაზღვრა. როგორც შეთანხმების დოკუმენტიდან ჩანს, გაჭიანურება გამოწვეული იყო იმით, რომ „არ არის დასრულებული ქ. თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ გრგ-ს დამტკიცების, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურები“. საბოლოოდ, 22 ივნისს კომპანიასა და მაუწყებელს შორის საბოლოო ეტაპის მიღება-ჩაბარების დოკუმენტი გაფორმდა, რომლის მიხედვითაც შპს თბილქალაქპროექტმა ჯამში 1,168,161 ლარის სამუშაო შეასრულა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018-2019 წლებში ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოებში ჯამურად დაიხარჯა 1,109,374 ლარი შემდეგი მიზნობრიობით:

საზოგადოებრივი მაუწყებელი
ახალი შენობის აშენებასთან დაკავშირებული ხარჯები 2018-2019წწ.

2018წ. ახალი შენობასთან დაკავშირებული ხარჯი

არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	917,778.76
ახალი შენობის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების შეფასების მომსახურ	14,000.00
სულ	**931,778.76**

2019 წ. ახალი შენობასთან დაკავშირებული ხარჯი

დენდროლოგიური პროექტის მომზადება	2,596.00
არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	175,000.00
სულ	**177,596.00**

2020 წლის 16 ივნისს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ მაუწყებლის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთისა და შენობა ნაგებობის (კოსტავას #68) აუქციონის წესით გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღო. ქონების საწყისი ღირებულება 40 მლნ დოლარით განისაზღვრა (ექვივალენტი ლარში). აუქციონით დაინტერესებული მხარე არ აღმოჩნდა, რის შემდეგაც მაუწყებელმა ხელახლა, 10%-ით შემცირებული ფასით სცადა შენობის გაყიდვა. 31 ივლისს აუქციონი უშედეგოდ დასრულდა, 3 აგვისტოს კი მესამედ გამოცხადდა, ისევ 10%-ით შემცირებული ფასით. მესამე უშედეგო მცდელობის შემდეგ, მაუწყებელმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე შენობას აღარ გაყიდის.

ამის პარალელურად, პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე მდებარე მიწაზე მაუწყებლის ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპისათვის (კონსტრუქციული და არქიტექტურული სამუშაოები) ტენდერი გამოცხადდა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება **46 მილიონ ლარზე მეტია**. სატენდერო წინადადებების მიღება მიმდინარე წლის 9 სექტემბერს დაიწყება და 14 სექტემბერამდე გასტანს.

ამასთან, მაუწყებელმა საკონსულტაციო კომპანია "სიემსი" დაიქირავა, რომელმაც მშენებლობის პროცესის მენეჯმენტი უნდა უზრუნველყოს. აღნიშნული მომსახურება მაუწყებელს **3 მილიონ ლარამდე** უჯდება. ამავე კომპანიასთან მაუწყებელმა 2017 წელსაც გააფორმა ხელშეკრულება, რომლის ღირებულება 74,000 ლარამდე იყო და მაუწყებლის კოსტავას #68-ში მდებარე შენობის მესამე კორპუსის რეკონსტრუქციისა და ამავე კორპუსის მიმდებარედ ახალი ნიუსრუმის შენობის პროექტირების მენეჯმენტის მომსახურებას მოიცავდა.

2017 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ბათუმშიც გადაწყვიტა ახალი ოფისის მშენებლობა, რისთვისაც ფიროსმანის ქუჩაზე, 25 სართულიანი შენობის სხვენში 492 კვ.მ ფართი შეიძინა, რაშიც 88,596 აშშ დოლარი გადაიხადა, რაც 2017 წლის საშუალო კურსით დაახლოებით 222,250 ლარია. მაუწყებელმა ასევე შეისყიდა არქიტექტურული პროექტი, რომელშიც 23,600 ლარი გადაიხადა. ჯამში, ბათუმში შეძენილი შენობის სამუშაოებში დაახლოებით 246,000 ლარი დაიხარჯა.

თუმცა მოგვიანებით მაუწყებელმა ამ შენობის აშენება გადაიფიქრა და მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შეძენილი ფართი 250,000 ლარად გაასხვისა[6].

[6] წყარო: მაუწყებლის მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია;

გადაცემების ხარჯები

რაც შეეხება გადაცემების ხარჯებს, 2019 წლის საკასო ხარჯმა ამ მიმართულებით 28 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, საიდანაც ყველაზე მაღალ ხარჯიანი შემდეგი ხუთი გადაცემაა:

გადაცემის დასახელება	ხარჯი
ახალი ამბები	**8,705,713.00**
სპორტული მიმართულება	**4,140,306.00**
კულინარული შოუ მასტერშეფი	**1,479,477.00**
სერიალი[7]	**1,421,312.00**
პროექტი საქართველოს ვარსკვლავი	**1,100,475.00**

სამწუხაროდ, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არ მოგვაწოდა ინფორმაცია გადაცემების რეიტინგების შესახებ და მიგვითითა, რომ აღნიშნული ინფორმაცია შეგვიძლია მოვთხოვოთ რეიტინგების მთვლელ კომპანიებს. მიუხედავად იმისა რომ, მთვლელები კერძო კომპანიები არიან და საზოგადოებრივი მაუწყებლისგან განსხვავებით, არ აქვთ საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება, TVMR საქართველომ, ჩვენი თხოვნის საფუძველზე, მოგვაწოდა შესაბამისი ინფორმაცია.[8]

2018			
გადაცემები	**საშუალო წლიური რეიტინგი (AMR) %**	**აუდიტორიის წილი (SHR)%**	**ბიუჯეტი**
მარტივი ლოგიკა	**1.71%**	**4.51%**	**789,549.00**
ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი	**1.61%**	**4.37%**	**777,848.00**
ახალი კვირა	**1.96%**	**4.60%**	**663,996.00**
რეალური სივრცე	**1.17%**	**3.36%**	**461,369.00**
ნაშუადღევს	**0.60%**	**3.14%**	**391,383.00**
აქტუალური თემა	**1.40%**	**3.20%**	**180,759.00**
გამომძიებელი რეპორტიორი	**1.61%**	**5.95%**	**168,740.00**
42 პარალელი	**1.40%**	**3.30%**	**163,831.00**
2019			
გადაცემები	**საშუალო წლიური რეიტინგი (AMR)%**	**აუდიტორიის წილი (SHR)%**	**ბიუჯეტი**

[7] იგულისხმება შესყიდული მექანიკური პროდუქცია;
[8] ცხრილში წარმოდგენილია 2018 და 2019 წლების ყველაზე ხარჯიანი გადაცემების რეიტინგები;

მასტერშეფი	**3.61%**	**8.91%**	**1,479,477.00**
საქართველოს ვარსკვლავი	**3.54%**	**8.60%**	**1,100,475.00**
იდეალური დედა	**1.86%**	**4.55%**	**1,039,859.00**
ნაშუადღევს	**0.83%**	**4.20%**	**901,170.00**
ახალი კვირა	**2.06%**	**4.77%**	**843,086.00**
ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე	**1.41%**	**3.85%**	**368,800.00**
რეალური სივრცე	**1.63%**	**4.72%**	**361,427.00**
42 პარალელი	**1.60%**	**3.67%**	**236,276.00**
გამომძიებელი რეპორტიორი	**1.25%**	**2.99%**	**191,919.00**
აქტუალური თემა	**1.64%**	**4.03%**	**132,511.00**

დასაქმების პოლიტიკა საზოგადოებრივ მაუწყებელში

სახელმწიფო ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გაწეული ხარჯების მიხედვით, ყოველწლიურად ყველაზე დიდი წილი იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე. 2013 წლის შემდეგ შრომის ანაზღაურების ხარჯები ყოველწლიურად იმატებს. 2019 წელს, წინა წელთან შედარებით შრომის ანაზღაურებაზე დაახლოებით 2 მილიონი ლარით მეტი დაიხარჯა.

შრომის ანაზღაურების ზრდა, სხვა მიზეზებთან ერთად, განპირობებული იყო საზოგადოებრივ მაუწყებელში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდით. 2013 წლის 26 მარტს საზოგადოებრივი მაუწყებლიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მაუწყებელში სულ დასაქმებული იყო 899 თანამშრომელი. რაც შეეხება ბოლო სამ წელს, თანამშრომელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და წილის ბოლო მონაცემებით (დეკემბერი) შემდეგნაირად გამოიყურება:

წელი	**თანამშრომლების რაოდენობა**	**შრომის ანაზღაურება**
2017	1174	**24,678,4 ₾**
2018	1165	**27,666,5 ₾**
2019	1174	**29,681,4 ₾**

ამასთან, მაუწყებლის 2018-2019 წლის ანგარიშებში მითითებულია, რომ აღნიშნულ წლებში შრომის ანაზღაურების ზრდა უმეტესად გამოწვეული იყო არა თანამშრომელთა რაოდენობის ზრდით, არამედ თანამშრომელთა ხელფასების მატებით. 2019 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელთათვის დაწესდა მინიმალური ანაზღაურების ზღვარი, რომელიც 1,000 ლარამდე გაიზარდა და კვალიფიციური თანამშრომლების გადინების პრევენციისათვის, მოხდა ხელფასების მატება.

რაც შეეხება საშტატო განრიგს, ჩვენ გამოვითხოვეთ ინფორმაცია როგორც საშტატო ნუსხის, ისე შტატგარეშე თანამშრომლების რაოდენობისა და მათი ანაზღაურების შესახებ, თუმცა პასუხად

მივიღეთ, რომ საშტატო განრიგის არ არსებობის გამო მაუწყებელი მოკლებულია შესაძლებლობას მოგვაწოდოს მსგავსი ინფორმაცია.

ამასთან, აღსანიშნავია რომ სამეურვეო საბჭოს ხელფასებიც მზარდია. მაგალითისთვის, 2016 წელს საბჭოს წევრების ანაზღაურებამ 471,200 ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წელს - 742,042.

რეიტინგი

3 წლის მანძილზე განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგი (აუდიტორიის წილი) მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. საქართველოში ნილსენის ლიცენზირებული წარმომადგენლის, კომპანია „თი-ვი ემ-არ საქართველო"-ს (TVMR) მონაცემებზე დაყრდნობით, პირველი არხის ბაზრის წილი 2017 წელს 3,63 %-მდე შემცირდა (რეფორმის დაწყებამდე არხის ბაზრის წილი, 2015 წელს, 3,92 % იყო, ხოლო 2016 წელს -3,7 %) (იხ. სურათი #5).



კომპანია TVMR-ს არ აქვს გამოქვეყნებული 2018-2019 წლის საბოლოო შედეგი (არხების აუდიტორიის წილის წლიური მონაცემები), თუმცა კომპანიის საიტზე არსებული ინფორმაციის მიხედვით შესაძლებელია კვირების მიხედვით რეიტინგის ხილვა, რომლის მიხედვითაც, ჩვენ გამოვთვალეთ საზოგადოებრივი მაუწყებლის (საქართველოს პირველი არხის) 2018-2019 წლების

საშუალო წლიური რეიტინგი (აუდიტორიის წილი).



[9]

2018 წლის განმავლობაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგი უმეტესწილად 4%-ს არ ცდებოდა. მაუწყებლის რეიტინგის ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა 24-ე და 28-ე კვირების შუალედში, როდესაც **1 არხის რეიტინგმა 13%-ს მიაღწია (24-ე კვირას).** რეიტინგის ეს ზრდა უკავშირდება ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც 2018 წელს რუსეთში ჩატარდა. **2018 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს აშუქებდა საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხი.**

ჩემპიონატის მიმდინარეობა, 14 ივნისი-15 ივლისი, ემთხვევა 1 არხის რეიტინგის ზრდას (2018 წლის 24-ე კვირიდან 28-ე კვირის ჩათვლით). 1 არხის რეიტინგის პიკი-კვირა ასევე ემთხვევა მსოფლიო ჩემპიონატის გახსნის ცერემონიის კვირას, **მსოფლიო ჩემპიონატი გაიხსნა 2018 წლის 14 ივნისს (2018 წლის 24-ე კვირა).** არხი მის ჩვეულ რეიტინგს დაუბრუნდა უკვე 29-ე კვირას, მას შემდეგ, რაც ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი დასრულდა 15 ივლისს (2018 წლის 28-ე კვირა). შესაბამისად, 2018 წლის განმავლობაში **საზოგადოებრივი მაუწყებლის რამდენიმეკვირიანი რეიტინგის ზრდა ვერ იქნება მიმდინარე რეფორმის შედეგი** და უკავშირდება ერთჯერად ღონისძიებას. 2019 წლის იმავე პერიოდში მსგავსი ზრდა არ ფიქსირდება. რეიტინგის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გასულ წელს მე-12 კვირაში დაფიქსირდა და 6.83% შეადგინა.

თუმცა, საზოგადოებრივი მაუწყებელი ბოლო პერიოდში მეტწილად ინტერნეტ რეიტინგებს აკვირდება და აქტიურად აქვეყნებს მათივე ანალიტიკური სამსახურის კვლევებს, რომლებიც ეყრდნობა Alexa.com-ის, YouTube.com-ისა და Google Analytics-ის მონაცემებს, რომლის თანახმადაც ტელევიზიების YouTube არხების ჯამურ რეიტინგებში ნახვების რაოდენობის მიხედვით საქართველოს პირველი არხი პირველ ადგილს იკავებს. ტელევიზიების ვებ გვერდების რანგირებაშიც 2019 წლის 25 ნოემბრის მდგომარეობით, პირველი არხი ლიდერობდა, ხოლო საინფორმაციო პორტალების რეიტინგში მე-3 ადგილზე იყო.

აღსანიშნავია, რომ მაუწყებლის რეიტინგებზე საუბარი ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ დაიწყო. მანამდე არსებული მენეჯმენტი თვლიდა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ამოცანები არ მოიაზრებდა მაღალი რეიტინგის ქონის ვალდებულებას. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ირინა

[9] 2018 და 2019 წლების აუდიტორიის საშუალო წილი გამოთვლილია TVMR-ის ვებ გვერდზე გამოქვეყნებული ყოველკვირეული აუდიტორიის წილის (SHR%) გამოყენებით და შესაძლოა შეიცავდეს მცირე უზუსტობებს; ვებგვერდზე მითითებულია შესაბამისი სამიზნე აუდიტორია და დროის მონაკვეთი;

ფუტკარაძე დღემდე ასე მიიჩნევს. თუმცა, მენეჯმენტი ამ შეხედულებას არ იზიარებდა. შესაძლოა სწორედ ამიტომ მოხვდა მაუწყებლის ეთერში სხვადასხვა მეგა შოუ, რომელთაც 2020 წელს კიდევ ერთი "THE VOICE" დაემატება.

დასკვნა

საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმის დაწყებიდან სამი წელი შესრულდა. ამ პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის ფინანსური რესურსები გაორმაგდა. დაიწყო ტექნიკური საშუალებების განახლება (კამერები, ხმის აპარატურა, განათებები ა.შ), მაუწყებელმა შეისყიდა ავტოსატრანსპორტო საშუალებები. დაიგეგმა ახალი შენობის აშენება და შეისყიდა არსებული შენობების სარემონტო სამუშაოები. 2017-2019 წლებში, რეფორმის კაპიტალურ ნაწილზე უკვე დაიხარჯა დაახლოებით 14 მლნ. ლარამდე.

მნიშვნელოვანია რეფორმის მიმდინარეობა და გაწეული ხარჯები შეფასდეს რეფორმის შედეგებთან მიმართებაში. რეფორმის ძირითადი ამოცანა მაუწყებლის ტექნიკური განახლება და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება იყო, **საბოლოო მიზანი კი საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგის გაზრდა.** მაუწყებელმა რეფორმის გასაგრძელებლად 45 მლნ ლარის სესხი აიღო. თუმცა, გაურკვეველია მიაღწევს თუ არა სასურველ შედეგს მაუწყებელი ამ თანხის გამოყენებით.

ჩვენი მონაცემებით, 2018-2019 წლებში მაუწყებლის რეიტინგს ჰქონდა უმნიშვნელო ზრდა. აღსანიშნავია, რომ რეიტინგის არსებული ზრდა მეტწილად გამოწვეულია არხზე დაწყებული ახალი პროექტებითა და მეგაშოუებით. თუმცა, საზოგადოებრივი მაუწყებლის კანონით განსაზღვრული როლიდან გამომდინარე, კითხვები ჩნდება, რამდენად ემსახურება აღნიშნული გადაცემები საზოგადოებრივ სიკეთეს.

2017 წლის დასაწყისში ვასილ მაღლაფერიძემ განაცხადა, რომ თუ საზოგადოებრივი მაუწყებლის რეიტინგი 15%-ზე მეტი არ იქნებოდა 2019 წლისთვის, ის გადადგებოდა დაკავებული თანამდებობიდან. TVMR-ის მონაცემებიდან ჩანს, რომ მაუწყებლის რეიტინგმა 2019 წლისთვის ვერ მიაღწია სასურველ ნიშნულს. მაღლაფერიძე 2020 წლის 18 აგვისტოს გადადგა, თუმცა თანამდებობის დატოვების მიზეზად რეიტინგის პრობლემა არ დაუსახელებია. მისი განცხადებით, გადადგომის გადაწყვეტილება მიიღო, რათა არჩევნების გაშუქების პროცესში პირველი არხის მიუკერძოებლობის საკითხზე კითხვები არ გაჩენილიყო.

2020 წლის 19 აგვისტოდან გამოცხადებულია კონკურსი საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი დირექტორის ასარჩევად. ამ ეტაპისთვის ცნობილია, რომ კონკურსში მონაწილეობას იღებს თინათინ ბერძენიშვილი, მაუწყებლის ყოფილი დირექტორის მოადგილე და ამჟამად მისი მოვალეობის შემსრულებელი.

მნიშვნელოვანია, რომ სამეურვეო საბჭომ და ახალმა გენერალურმა დირექტორმა მკაფიოდ განსაზღვრონ მაუწყებლის პრიორიტეტები, რომელიც თანხვედრაში იქნება მაუწყებლის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფუნქციებთან. ამასთან, აუცილებელია მენეჯმენტმა გაითვალისწინოს მაუწყებლის მიმართ არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და უზრუნველყოს მაუწყებლის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობა.